


მე იმ ქართველს რა ვუთხარი, ვინც... ხმას მისცემს აკვლავებს, ქურდებს, მშვიდობის მტრებს!..



4

სამთავროებო - მცხეთობა



„მცხეთის ქალაქს მირიონი ღუღს“,
მზის და ვაზის მირიონი.
მეზურ ქვეშეში ღაღადებენ საეშენი საგმირიონი.
ილაღადეთ, ფუძის ქვანო, ქვანო საგუმბათიონო,
მცხეთას ხომ არ მიზრბანდებთი, კონსტანტინე ბატონო.
მულმულს როგორ არ ესტვინა
იმერიის ბაღთათვის,
არ მოველო პალესტინა,
კილიკია, ბაღდათი.
მოიარე საქართველო მეროჭიკე მერიფით,
მოიძიე მონასტრები, უამით გადაბელილი.
განოლილა ქვაში ხვსად
უამი - ნაღაპარი,
ხომ არ ამხელს ხვაშიადსა
ქვის გრძეული მღაპარი?..
მკათათვეში თრიალეთზე ცაა უკაბადონო,
იქნებ კვეტარს ესტუმრებთი, კონსტანტინე ბატონო!
ვის დაჭრილი მეციხოვნე ჭირის თელგადასხმული,
მენი სიტყვის მალამოთი გაამართლე წარსული.
გადმოღვევა ქართულ მთებზე დილა საიადონო
და ქედს ვიხდით საქართველო, კონსტანტინე ბატონო.

შოთა ნიშნიანიძე


ავროპელი ნითელი მიზა, ნაცები და ხაჭაპური



3

კანიბალიზმის ორიენტიზაციაა?!

ყოფნა?.. არყოფნა?..
საკითხავი
აი, ეს არის...




7

მინისტრი გადაგდარა?! რა გავაკეთო, ან რა გავაფუჭე?!

6



11



ხელოვნება თავათ
უკვდავება,
მხოლოდ ისტატს ვერ
ენევა სიკვდილი, ათასეული
წლები წაღეკავენ ირგვლივ
ყოველივეს, მხოლოდ
სვეტიცხოველი დარჩება,
როგორც ღმერთთან და
სიკვდილთან მებრძოლი
იაკობი

14 ოქტომბერს წმინდა მართლმადიდებელი სამოცი-
ქლო ეკლესია დღესასწაულოვს საუფლოისა ჯვართისა და
ღვთაებრივ მრწინვალე მირიონდინარე სვეტისა მრწინვალე
ღღეს. ასევე – მცხეთობა-სვეტიცხოვლობას, საფარველისა
ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა
და მარადის ქალწულისა მარიამისა, მოციქულთა სწორისა,
მეთისა მირიანისა და დედუფლისა ნანასი, წმიდისა სიდორისა
და ამბათარ მღვდელისა, ურიაყოფილისა, საქართველოს
პირველი კათოლიკოს-პატრიარქისა, სვეტიცხოვლის გან-
მახლებლის, წმიდისა მელქისედექ პირველისა.
...საქართველოში არსებულ სწმინდეთა შორის ყველაზე
დიდი სვეტიცხოვლის ტაძარია!



აჭარაში ყველაზე პატრიოტი, საქართველოს ერთგული ხალხი ცხოვრობს



ფრაგმენტები ბიძინა ივანიშვილის ბათუმში გამოსვლიდან

აჭარასა და აჭარლებზე საუბარი დიდხანს და დაუსრულვლად შეიძლება, მით უფრო, როცა ეს საოცარი კუთხე გუნებას უხვად დააბილდობს თვალწარმართად ადგილებით, სადაც ერთმანეთს ჰარმონიულად ერწყმის მთა და ზღვა, — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილმა საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ბათუმში გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.

მისი თქმით, აჭარა ერთ-ერთი ყველაზე პატრიოტულად განწყობილი მხარეა, რომელიც არაერთხელ განხორციელდა დიდი იმპერიების ზრძოლის საგანი, მაგრამ აჭარლებს არასდროს განუდგიათ საქართველოს სიყვარული და არასდროს შეუწყვედიათ შვილუბისთვის ქართველობის ჩანერგვა.

აჭარის სსენებისას ამ ქვეყნის თითოეულ შვილს სიტბოთი ევსება გული — სწორედ აჭარაა ის მხარე, სადაც ყოველ ზაფხულს ლამის მთელი საქართველო ერთად იყრის თავს და დაუვინყარ ემოციებს ვრქენით ერთმანეთს.

და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის თითოეული კუთხე უნიკალური და გამოჩენილია, აჭარა ერთ-ერთი ყველაზე ქართულად და პატრიოტულად განწყობილი მხარეა, აჭარლების გასაოცარი ტემპერამენტი და პატრიოტიზმი კი საუკუნეების ქართველებმა არაერთხელ გამოცადა.

მთელი ჩვენი ისტორიის განმავლობაში, ეს საოცარი, თანაც სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონი მრავალჯერ იყო დიდი იმპერიების ზრძოლის საგანი და არაერთხელ მოუკვეთიათ დედა სამშობლოსთვის, მაგრამ თქვენი და ჩვენი დიდი წინაპრების ქართველობის წყალობით, აჭარელ ქალებსა და კაცებს არასდროს განუდგიათ საქართველოს სიყვარული, არასდროს შეუწყვეტიათ საკუთარი ენის, ისტორიისა და კულტურის დაცვა, რაც მთავარია, შვილებისთვის გულში საქართველოს სიყვარულის და ქართველობის ჩანერგვა.

თქვენი იმედიანი, სირთულეებთან შეუგუებელი ხასიათი და თავდადების უნარი კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, როგორ

ვაგებთ ერთმანეთს მამულის, ენისა და სარწმუნოების გარშემო გაერთიანებული საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილები და ერთ მუშტად შეკრულ, მრავალფეროვან ერს ვქვნი. ეს საოცარი ერთობა ყველაზე უკეთ მაშინ ჩანს, როცა საქმე ჩვენს ღირსებას და თავისუფლებას ეხება.



პრეზიდენტ გახსოვთ, რა ხდებოდა 12 წლის წინ საქართველოში, როდესაც ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გათელდა, მკვლელობა, წამება, ქონების წართმევა, მიზნების რეკეტი, ამ ქვეყნის ყოველდღიურობა იყო.

ეს ყველაფერი განსაკუთრებით კარგად იგრძნობოდა აჭარაში, ამ დალოცვილ კუთხეში, რომელიც წინა ხელისუფლებამ საკუთარ სათამაშო ქვიშის მოედნად აქცია — საჭაროდ აცხადებდნენ, რომ აჭარასა და აჭარლებზე ზრუნავდნენ, რეალურად კი საკუთარ მიზნებს-ინტერესს ატარებდნენ და აზრს არაფერში გეკითხებოდნენ, თქვენგან მხოლოდ თავის დახრას და მორჩილებას მოითხოვდნენ. მთელი აჭარა საკუთრებად გაიხადეს და გიკრძალავდნენ, რომ ამაზე რეაქცია გქონოდათ.

12 წლის წინ დაგვირდით, რომ თქვენი ნდობის შემთხვევაში, ქართველ ხალხს აუცილებლად დაგვბრუნებდით წართმეულ ღირსებას, რადგან მიგვაჩნდა და დღესაც იმავე რწმენით ვართ, რომ პოლიტიკის ამოსავალი წერტილი ადამიანი უნდა იყოს, ხელისუფლება კი მისი უფლებების დაცვის მთავარი გარანტი.

ჩვენი მოსახლეობის მუდმივი მხარდაჭერით, 12 წელიწადში მმართველმა გუნდმა

ააშენა ქვეყანა, რომელშიც ხელისუფლება ხალხს ემსახურება და სახელმწიფო ინსტიტუციები პროფესიონალურად ასრულებენ მოვალეობას.

ამაყი ვარ, რომ თქვენთან ერთად, საქართველოს მოსახლეობის მუდმივი მხარდაჭერით, 12 წელიწადში ავაშენეთ ქვეყანა, რომელშიც ხელისუფლება ემსახურება ხალხს და ყველა ინსტიტუცია პროფესიონალურად ასრულებს თავის მოვალეობას; ქვეყანა, სადაც ამ ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს თუ სტუმარს ღირსეულად შეუძლია ცხოვრება განურჩევლად მისი ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილებისა; ქვეყანა, სადაც ამსოლულურად ყველა მიმართულებით, იქნება ეს: ჯანდაცვის, სოციალური, ეკონომიკური თუ სხვა სფერო — მნიშვნელოვანი პროგრესი გვაქვს; ქვეყანა, სადაც ძალიან უწყვეტი და მართლმსაჯულების სისტემა თანხვედრაშია ევროპულ სტანდარტთან.

2012 წლის 1 ოქტომბერს არა მხოლოდ ავტორიტარული რეჟიმი დავამარცხეთ და ქვეყანა დავიბრუნეთ, არამედ, ამ დღიდან მოყოლებული, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ პრინციპულად გააუმჯობესა მდგომარეობა ყველა სფეროში, ყველა მიმართულებით! ამაზე ძალიან ბევრი ისაუბრა პრემიერ-მინისტრმა, მე მინდოდა შემეხსენებინა, რომ სამი დღის წინ გამოვლა მთავრობასთან ერთად, იყო ძალიან შთაბეჭდილი, დღესაც ძალიან კარგად მოგახსენათ, თუ რამდენი მიღწევები გვაქვს ყველა მიმართულებით. მაგრამ, გარდა პრემიერის გამოსვლისა და შიდა მიღწევებისა, რომელსაც თქვენ ხედავთ, კარგად შეიძლება ვნახოთ საერთაშორისო რეიტინგებიც. თუ ჩვენი არ

სჯერათ, განსაკუთრებით ჩვენს ოპონენტებს — კრიტიკულად უყურებენ ყველაფერს, საერთაშორისო რეიტინგებს მაინც შეხედონ და რამდენიმე მაგალითს მოგიყვანთ:

„ატლანტიკური სამკოლს“ თავისუფლების და კეთილდღეობის 2024 წლის ინდექსით, საქართველო კეთილდღეობის 10-წლიანი პროგრესით მსოფლიოს საუკეთესო ხუთეულშია, 11-წლიანი პროგრესით კი მსოფლიოში პირველ ადგილზეა.

ღია ბიუჯეტის ინდექსში საქართველო სრულიად გამჭვირვალე ქვეყნების რიგში კვლავ პირველ ადგილს იკავებს მსოფლიოს 125 ქვეყანას შორის. გახსოვთ, რომ ერთი პარტიის ბელადს ბიუჯეტი საკუთარი ჯიბე ეგონა და ისე მოიხმარდა, როგორც საკუთარ ჯიბეს და დღეს პირველ ადგილზე საქართველო ბიუჯეტის გამჭვირვალეობის მხრივ, მსოფლიოს 125 ქვეყანასთან შედარებით.

სასამართლო მართლმსაჯულებაზე ხელისუფლების თაველასხმებისგან თავისუფლებით, საქართველო ევროპის საუკეთესო ათეულშია. ამა გახსოვთ, სასამართლო როგორ იმართებოდა? — ხელისუფლების გავლენა იმდენად მცირეა დღეს, რომ საუკეთესო ათეულშია საქართველო ევროპაში.

ხელისუფლების მხრიდან ფიზიკური ძალადობისგან თავისუფლების 11-წლიანი პროგრესით საქართველო მსოფლიოში მესამე ადგილზეა — გახსოვთ, რაც ხდებოდა? გახსოვთ, როგორ ძალადობდნენ, როგორ ხოცავდნენ ქუჩაში? გახსოვთ, როგორ ძალადობდნენ? — 30 000 პროპაციონერი ჰყავდა საქართველოს მხოლოდ. დღეს საქართველო მესამე ადგილზეა მსოფლიოში, რამდენადაც ის არ ძალადობს საკუთარ მოსახლეობაზე და ეს საამაყოა, რა თქმა უნდა.

სამოქალაქო თავისუფლების 11-წლიანი პროგრესით საქართველო მსოფლიოში — მესხრე, ევრაზიის კონტინენტზე — მესამე, ევროპაში კი პირველ ადგილზეა. თავისუფალი მოქალაქეები ქმნიან მიზნებს, თავისუფალი მოქალაქეები ახერხებენ, ქვეყანას წარმატება მოუტანონ და ნახეთ, როგორი შთაბეჭდილი მიღწევები გვაქვს ამ მიმართულებით.

მსოფლიო ბანკის შეფასებით, 2024 წელს საქართველოში საერთაშორისო სიღარიბის დონე ახალ ისტორიულ მინიმუმამდე მცირდება და მაჩვენებლის 12-წლიანი გაუმჯობესებით საქართველო მსოფლიოს საუკეთესო ხუთეულშია. სიღარიბის გაუმჯობესებით, 12 წელში მსოფლიოს საუკეთესო ხუთეულშია საქართველო — ნუ დავგავინწყდება ხალხი, რომ 12 წელიწადში ვერ გაკეთდება ის, რაც უნდა გაკეთდეს 25 და 30 წელიწადში, მაგრამ 12 წლის განმავლობაში ნამდვილად შთაბეჭდილი მიღწევები გვაქვს...



შალვა პაპუაშვილი:

მაინს, რად უღირდა საქართველოს თავისუფლების და სისუსხლის ბარიკა?

დარჩო ხეჩუაშვილი, რომელსაც გარანტირებულად 18-წლიანი ციხე ემუქრება, ქვეყანაში ჩუმად შედის და რისკავს საკუთარ თავისუფლებას, ე.ი. რაღაცად უღირდა ეს რისკი, – ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა განაცხადა.

მისივე თქმით, დარჩო ხეჩუაშვილთან იყო ან რაღაც გარიგება, ან დავალება, რადგან საქართველოში ჩამოსვლა 18-წლიანი ციხე უღირდა.

„ყველას შეეხებოდა, რომ დარჩო ხეჩუაშვილის წინააღმდეგ 18-წლიანი სასჯელი აქვს გამოტანილი სასამართლოს და ეს ადამიანი ტყე-ტყე აპირებდა შემოსვლას საქართველოში და აქვს იმარჯვა ჩვენმა უსაფრთხოების სისტემამ, სასაზღვრო პოლიციამ და იგი დააკავა. წარმოდგინეთ, ადამიანი, რომელსაც გარანტირებულად 18-წლიანი ციხე ემუქრება, „იქს“ ქვეყანაში შედის ჩუმად და რისკავს საკუთარ თავისუფლებას და ამ რისკმა რომ არ გაამართლა, გამოჩნდა კიდევაც. ე.ი, რაღაცად უღირდა ეს რისკი.“

მასთან იყო ან რაღაც გარიგება, ან დავალება, რომ უღირდა 18-წლიანი ციხე



და ასევე არის. პირველი ჩვენება მან უკვე მისცა, რომ, თავის დროზე, არჩევნებამდე 3 დღით ადრე, როდესაც მოხდა თავდასხმა ერთ-ერთ პოლიტიკოსზე, მიხეილ სააკაშვილისგან მას ნაბრძანები ჰქონდა თვალთვალი ამ კონკრეტულ პოლიტიკოსზე. ამასთან, კიდევ ერთხელ, კრიმინალურ ისტორიაში გამოჩნდა ვიალორთიფანიძე, – აღნიშნა პაპუაშვილმა.

უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლები, რაღაც პერიოდულივით, ჩართულნი არიან საქართველოს დესტაბილიზაციაში.

– როგორც ჩანს, ასეთი მხელი საქმეების მთავარი დამგვეგმავე საქართველოში არის უკრაინის დამგვეგვის ხელმძღვანელი მოადგილე, საერთოდ კატასტროფაა. ჩვენი ვსაუბრობთ მეგობრობაზე, დახმარებაზე, გვერდში დგომაზე და უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლები, რაღაც პერიოდულივით, ჩართულნი არიან საქართველოს დესტაბილიზაციაში. უბრალოდ სირცხვილია, ეს მდგომარეობა. ამიტომ, ვნახოთ, რას აჩვენებს შემდეგი გამოძიება. ჩვენ, რა თქმა უნდა, რაღაცეები შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ გამოძიებამ დაადგინოს“.

დავით ქართველიძე:

არ მოღუნდეთ, ნაცები სავსაა პროპოკაბორობით!

ეს არის, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი და დამამბედველი გზავნილი ჩვენი საზოგადოებისთვის. ჩვენი, ან უკვე ყველაფრისთვის მზად მყოფი მოსახლეობისთვის, რომელსაც არ დაუკარგავს სიფხიბლე ამ უკანასკნელ ოთხ წელიწადში, თუმცა ასე ოცნებობს სიმშვიდით, – ასე ეხმარება „ხალხის ძალის“ წევრი დავით ქართველიძე პრემიერ-მინისტრის ირაკლი კობახიძის განცხადებას, რომელმაც ყველა სამართალდამცავ უწყებას მოუწოდა, მომდევნო 2 კვირის განმავლობაში განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინონ და პროვოკაციების აღკვეთაზე განსაკუთრებული ყურადღებით იმუშაონ.

ქართველიძის თქმით, საზოგადოების შესვენებას, დამშვიდებას და დაიმედებას სამართალდამცავი ორგანოების მაღალპროფესიულ დონეზე მუშაობის მიმართ ცალკე ადგილი უნდა დაეთმოს, ისევე, როგორც თვით სამართალდამცავი ორგანოების გაფრთხილებას – არ მოღუნდნენ და გაორმაგებული სიფხიბლით მოახდინონ ქვეყანაში კონსტიტუციური წესრიგის უზრუნველყოფა.

„ეს არის ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი და დამამბედველი გზავნილი ჩვენი საზოგადოებისთვის. ჩვენი, ან უკვე ყველაფრისთვის მზად მყოფი მოსახლეობისთვის, რომელსაც არ დაუკარგავს სიფხიბლე ამ უკანასკნელ ოთხ წელიწადში, თუმცა ასე ოცნებობს სიმშვიდით.“

საზოგადოების მესიერებაში ჯერ კიდევ ცოცხალია 2016 წელს არჩევნებამდე 3 დღით ადრე არეულობა-პროვოკაციის მიზნით, ნაცსექტის მიერ საკუთარი ერთ-ერთი ლიდერის ფიზიკური ლიკვიდაციის გეგმა. ამის თაობაზე გვი თარგამაძის ჯიუტი დემონსტრაციული აქციები – როგორც ჩანს თავის აფეთქებაზე „წერილობითი

თანხმობის“ არსებობის საფუძველზე განხორციელებული ლიკვიდაციის მცდელობაზე.

კარგად გვახსოვს 2020 შემდგომი საპარლამენტო არჩევნების წელიწადს გიორგი გაბუნია ფიზიკური ლიკვიდაციის გეგმაც და სატელეფონო საუბრები – არეულობის დროს, რომელიმე ფეხმძიმე ქალის სასურველი დაღუპვის თაობაზე. გვახსოვს ამ არეულობების მოსაწყობად ერთ წელიწადში ქვეყანაში კონტრბანდულად გამოგზავნილი ბელადი.

გვახსოვს ასევე ხან ზღვით, ხან თვითმფრინავით ჩამოსული უკრაინელი ბოევიკები, საიდანაც დიდი ნაწილის დეპორტირება მოვახდინეთ, ნაწილი დაეჭირეთ, მაგრამ ნაცების მესამე პრეზიდენტმა მათი ამნისტირებაც მოახდინა. გვახსოვს უკრაინიდან შემოსული ტროტკისისა და ამფეთქებლების დიდი პარტიის დაკავება, საიდანაც ნაწილი რუსეთის, ხოლო ნაწილი – საქართველოს ტერიტორიაზე ტერორისტული აქტების მოსაწყობად იყო გამოიზნული.

ვიცი ასევე გვი თარგამაძის „ქილერის“ რამდენიმე კვირის წინ საქართველოში შემოსვლისთანავე დაკავების თაობაზე. მის მიერ მოცემული ჩვენებებიდან ვიცით თარგამაძის მკვლელობის ორგანიზატორების ვინაობაც: მიხეილ სააკაშვილი და ვიალორთიფანიძე. დარწმუნებული ვარ, ცოტა ხანში გავიგებთ ლიკვიდაციის ახალი ობიექტების თაობაზე.

ამ ყველაფრის ფონზე, საზოგადოების შესვენებას, დამშვიდებას და დაიმედებას სამართალდამცავი ორგანოების მაღალპროფესიულ დონეზე მუშაობის მიმართ – ცალკე ადგილი უნდა დაეთმოს. ისევე, როგორც თვით სამართალდამცავი ორგანოების გაფრთხილებას – არ მოღუნდნენ და გაორმაგებული სიფხიბლით მოახდინონ ქვეყანაში კონსტიტუციური წესრიგის უზრუნველყოფა“.



ქუთაისის ტექნოლოგიური ჰაბი – მიზიდულობის ცენტრი

ქუთაისში ქუთაისის ტექნოლოგიური ჰაბის კონცეფციის პრეზენტაცია გაიმართა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო ავრცელებს.

დამსწრე საზოგადოებას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ, საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარემ ავთანდილ კასრაძემ მიმართეს და ტექნოლოგიური ჰაბის შექმნის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

ქალაქ ქუთაისში, პარლამენტის ყოფილ შენობაში განთავსებული პირველი ტექნოლოგიური ჰაბი სხვადასხვა კომპონენტს გააერთიანებს. ტექნოლოგიური ჰაბის ტერიტორიაზე განთავსდება ინტერაქციული-სამეცნიერო-ტექნოლოგიური მუზეუმი, სტარტაპ აქსელერატორი, საერთაშორისო IT

სკოლა, საკონფერენციო სივრცე, საერთო სამუშაო სივრცე, ქართული ხელოვნური ინტელექტის განვითარებისთვის მძლავრი მონაცემთა ცენტრი, ელექტრონიკის, რობოტიკის, დრონების, IoT, STEAM, სამრეწველო ინოვაციების (fablab) და სხვა ექსპერიმენტული ლაბორატორიები. ასევე,

VR/AR Gaming ლაბორატორია, შეხვედრების და სატრენინგო ოთახები სტარტაპებისა და IT სპეციალისტებისთვის. შესაბამისად, ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტექნოლოგიური პარკი სწორედ ქუთაისის ტექნოლოგიურ ჰაბში განთავსდება, რომელიც 2025 წლის შემოდგომაზე გაიხსნება.

„დარწმუნებული ვარ, ქუთაისის ტექნოლოგიური ჰაბი უმოკლეს დროში გახდება მთავარი მიზიდულობის ცენტრი ქუთაისის, იმერეთის და მთლიანად საქართველოს მოსახლეობისა და ტურისტებისთვის, ვინაიდან ეს ადგილი ერთ სივრცეში აერთიანებს ულტრათანამედროვე და მემყენებით-ტექნოლოგიურ მუზეუმს, თანამედროვე ნამყვან ტექნოლოგიურ და

კრეატიულ პროფესიულ მოსამზადებელ ცენტრებს, ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური სტარტაპების შესაქმნელად იდეალურ სამუშაო სივრცეებსა და საერთაშორისო ტექნოლოგიურ კომპანიებში დასაქმების შესაძლებლობას. აღნიშნული ჰაბი იზ-

რუნებს, ჩვენი მოქალაქეები დაინტერესდნენ თანამედროვე ტექნოლოგიებით, დაეუფლონ ნამყვან და მოთხოვნად პროფესიებს და აღნიშნულ ჰაბშივე დასაქმდნენ საერთაშორისო ტექნოლოგიურ კომპანიებში“, – განაცხადა ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარემ ავთანდილ კასრაძემ.



ლენჯახში სოციალური მომსახურების სააგენტოს სერვისი დაინერგა

სოციალური მომსახურების სააგენტოს ლენჯახის სერვის ცენტრის რეაბილიტაცია დასრულდა. ახლად გახსნილი ცენტრი ჯანდაცვის მინისტრმა მიხეილ სააკაშვილმა, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის გუბერნატორთან პაპუნა მარგველიძისთან და სააგენტოს დირექტორთან გიორგი ჭანტურიასთან ერთად დაათვალიერა.

დაწესებულებაში დაინერგა „ერთი ფანჯრის პრინციპით“ მომსახურება, რაც არამხოლოდ სოციალური, არამედ დასაქმების ხელშეწყობის, ბავშვებზე ზრუნვისა და ჯანდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი არაერთი სერვისის ერთ სივრცეში მიღებას გულისხმობს. რეაბილიტირებული სერვის ცენტრი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.



ჯანდაცვის მინისტრის განმარტებით, ეს სერვის ცენტრი სრულად შეესაბამება მომსახურების თანამედროვე სტანდარტებს. ქვეყნის მასშტაბით „ერთი ფანჯრის პრინციპის“ დანერგვის მიზნით, მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს ჯანდაცვის მომსახურების ცენტრების მშენებლობა და რეაბილიტაცია.

ახალი ნაცები საქალაქთაშორისო რეისებზე



ამოსაღმარებისა და საქალაქთაშორისო მგზავრთვალაყვანის კუთხით რიგი ცვლილებები იგეგმება. მათ შორის, 2025 წლის 1 ივნისიდან 150 კმ-ის მანძილით დაშორებულ ქალაქებს შორის მგზავრების გადაყვანა მხოლოდ ავტობუსებით განხორციელდება. როგორც „მიზნისპრინციპის“ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორმა

ლევან გამყრელიძემ განუცხადა, ავტობუსების გადაადგილება არის ევროპული სტანდარტი და მიმართულია, პირველ რიგში, ადამიანების უსაფრთხოებაზე. ავტობუსის უფრო უსაფრთხო, ვიდრე „მარშრუტა“.

ავტობუსს ექნება დაყენებული სიჩქარის შემზღუდავი მოწყობილობა, რომელიც 150 კილომეტრის ზემოთ ვერ მიდის, ეს არის უსაფრთხო და კომფორტული როგორც მძღოლებისთვის, ასევე მგზავრებისთვის. რაც შეეხება იმას, თუ რა პარამეტრებს უნდა აკმაყოფილებდეს ავტობუსები, მიზნის ვუთხარათ, რომ ავტობუსი უნდა იყოს „ევრო 4“-ის სტანდარტის და მაქსიმუმ 20 წლამდე ასაკის.

არჩვენებამდე რამდენიმე დღე დარჩა. დროა ისეთი პასუხსაგები, საფრთხილო, რომ... ახლის დანერგა ვერ მოვახერხებ.

ამიტომ ძველის, რამდენიმე წლის წინანდელი, მაღალი პოსტიდან ერთ კონკრეტულ „გადადგომასთან“ დაკავშირებული წერილის გახსენება ვარჩიე.

ის არც მაშინ იყო მხოლოდ ერთი, ანუ, სახელისუფლო გუნდისთვის განკუთვნილი და, მით უმეტეს, არც ახლა...

ცოტა კი დავაგვიანე, სჯობდა „საარჩევნო სივრცის“ შედგენამდე მიმემართა პოლიტიკური ასპარეზობის მონაწილე გუნდების ლიდრებისადმი რჩევით, რათა კიდევ უფრო მეტი სიღრმითა და სიფაქტით მოკიდებოდნენ დეპუტატთა მომავალი კორპუსის სავარაუდო წევრთა შერჩევას.

ასევე, არჩევნების დამთავრებისთანავე დაიწყება აღმასრულებელი ხელისუფლების კანდიდატთა შერჩევის, არსებულის განახლება-გადახალისების პროცესი. თუმცა, დაიწყება კი არა, უკვე დაიწყო: ორი მინისტრი უკვე გადადგა, რამდენიმე თვით ადრეც მოხდა ცვლილებები... შოდა, ეგებ, ეს პუბლიკაცია გამოადგეს ორივე მხარეს – გამარჯვებულს თუ „დამარცხებულს“. საზოგადოებასაც – დასაფიქრებლად!.. გასაანალიზებლად...

მინისტრი გადამდგარა?!

პანდემიის მინისტრის მოულოდნელობა(?) გადადგომამ ერთი, ადრე გამოქვეყნებული „მოგონება“ გამახსენა... ისე, მოულოდნელი, შესაძლოა, სხვისთვის იყო, თორემ რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან დაკავშირებული „სკანდალი“ მინისტრის გადადგომით რომ უნდა დამთავრებულიყო, ეს პოლიტიკასა და მის ტექნოლოგიებში ოდნავ ჩახედული-გარკვეული ადამიანებისთვის დღესავით ნათელი გახლდათ.

არ მინდა, ამ „გადადგომის“ დეტალებში „ხეტილი“ ამჯერად საინტერესო არ არის. ჩემი გადმოსახედიდან, მთავარია ამ მოვლენის გადამწყვეტი ფაქტორი: ხელუქმებთან, საერთოდ ადამიანებთან ურთიერთობის, მათთან საერთო ენის გამოხატვის, ნორმალური საუბრის უნარობა(!!!) მით უმეტეს, კოლეგებთან!

დიახ, პრინციპულია დრო და ვითარება, როცა აღრესატი მრბო კი არ არის, არამედ... შენი კოლეგები(!) არიან. თანაც, შენს პირისპირ, ხანგრძლივად დგას ერთ მუშტად შეკრული ჯგუფი თანამოაზრეებისა, მოტივირებული, ჯანსაღი და მიზნისთვის მებრძოლი კოლეგები!!! პარი-პარად შეკრებილი კი არა, არამედ კოლეგების კოლეგები!!! და შენ, მინისტრი... მუწის ენა დედამ იყისო!

არ აღმოჩნდა ეს ანდაზა „ცოცხალი“ ამ შემთხვევაში. ჯანდაცვის მინისტრმა მისი სისტემის დასაყრდენის – ექიმის ენა ან არ იყო; ან, ვერ გაიგო; ან, „მრმა“ იყო, ან, „ყრუ“...

ყველაზე საშინელი კი, შესაძლოა, ის ვითარება იყოს, რომ მინისტრი ნებისთნ თუ უნებლიეთ, ან, რაღაც ინტერესის გამო, ნარმოგვიდგა სხვისი(!!!) ნების თუ დაკვეთის შემსრულებელი... თოჯინა!

არ ვიცი, დაბეჭდვით ვერც ვერაფერს ვიტყვი ან

ვერც ვინმეს დავაბრალებ რაიმეს. უბრალოდ, ასეთ დასკვნა-ვარაუდებამდე მხოლოდ თეორიული მსჯელობით ან მთარულ ხმებზე დაყრდნობით შეიძლება მივიღო კაცო. გამიხარდება (ვიმედოვნებ), თუ მსგავსი ვარაუდი ძირფესვიანად გამოირიცხება.

მთავარი და პრინციპული კი მაინც ერთი დასკვნაა. თანაც, არა მარტო ახლანდელი, წინა ხელისუფლებათა არაერთი წამყვანი ფიგურისთვის დამახასიათებელი, ტრადიციული თითქმის უნივერსალური მიზეზი, რის გამოც დაიწყო და მერე უბრალოდ პროცესად გადაიზარდა ყველა – ცალკეული, პიროვნული თუ ჯგუფური უკმაყოფილება თბილისში... ჭიათურაში... ახმეტაში... რაჭაში... აჭარაში... გახსოვთ, ალბათ, ლამის მათუმი-ქალაქი რომ გადაწვეს პოლიციელების სულ უბრალო სიმბრყვის გამო, როცა დაჩაგრულ მამა-შვილს გამოეხარა წინა ხელისუფლების მოქალაქეთა ელვისებურად შეკრული ჯგუფი, რომლის საფუძვლიანი(!) უკმაყოფილებაც გადაიზარდა ისეთ დამაზრველ აგრესიაში, რომლის განვითარებისთვის სახელმწიფოს „სპეცნაზის“ ძალა დასჭირდა.

დიახ, ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ ადამიანებთან ურთიერთობა, ვერ ვგრძობთ ან ანგარიშს არ ვუნებთ საზოგადოებრივ აზრს, მის მოთხოვნებს.

აი, ამ უნარის დეფიციტს, მოგკერ კი მის უგულვებლყოფას, მხარე გამოეხატა (ჩემი პირადი) ვიცი, მოაქვს საოცრად ცუდი შედეგი. ჩვენს შორიულ თუ ახლო წარსულში ამის მაგალითები იშვიათად როდი მოიხსენება... რესპუბლიკური საავადმყოფოს ირგვლივ გაღვივებული „სკანდალი“ კი საშოლოდ განვითარდა პრემიერის მიერ ორგანიზებული „დილოგით“ (!), კონსენსუსით, დაპირისპირებულ მხარეთა მისაღები შედეგით, რისი მიღწევაც, როგორც ჩანს, შესაძლებელი იყო შედარებით უმტკივნეულოდ, გაცილებით ადრე, თუ კი მავანს მოეკითხებოდა ცოტა უფრო მეტი ჯუჯა-გონიერება...

ანუ, მორიგი გაკვეთილი მიიღო მთავრობამაც და საზოგადოებამაც. ვნახოთ, როდემდე გვეყოფა საკუთარ(!) შეცდომებზე მიღებული გამოცდილება.

ახლა რაც შეეხება დაპირებულ „მოგონებას“. გამგებმა გაიგოს!

1951 წლის ზაფხულში სტალინი ცოტა ხნით დასასვენებლად ეწვია საქართველოს... მედიაში არაერთხელ გაუღერდა ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის, პარტიული მაღალჩინოსნების და მისი ბავშვობის მეგობრების მოგონებები ამ ისტორიული ფაქტის შესახებ.

საინტერესოა ამ შეხვედრების ზოგიერთი დეტალი, რომელიც არ მოხვედრილა მემუარულ ლიტერატურაში.

ერთ-ერთი ენება გარდაცვლილ ძველ რევოლუციონერს, რკინიგზის სახელოსნოების (შემდგომ, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა) მუშას, რომელიც მელაღმა განსაკუთრებული სითბოთი მოიგონა. საუბრის დასასრულს მან იკითხა, თუ დარჩა ვინმე ოჯახის წევრი ან ახლობელი ამ ღირსეულ და დამსახურებულ კაცსო...

გასაკვირი არ იყო, რომ დამსწრეთაგან ვერაფერს ვერ ვახსენებ. მგერამ... დილით, საუბრისას ბელადს მოხსენდა, რომ თავის გარდაცვლილ თანამებრძოლს დარჩა მძისვილი, რომელიც იმხანად იმავე ქარხნის მონაწილე გახლდათ. სტალინიმა კვლავ არ დაიმუხრა თბილი სიტყვები წარსულის მეგობრის მიმართ და მიანიშნა, რომ ასეთი ადამიანების ოჯახებს მეტი ყურადღება ჭირდებათ, შთამომავლობას კი ხელშეწყობა პროფესიული თუ კულტურული ზრდისთვის.

ეს მინიშნება, რა თქმა უნდა, დირექტივად იქნა აღქმული და...

სულ მალე ძველი რევოლუციური ოჯახის სისხლის და ხორცის აღმასვლაც დაიწყო, მით უფრო, რომ მისი შრომითი საქმიანობა და წესიერება იძლეოდა სამართლიან საბაზს, ქვეყნის სამაგალითოდ მოვლენიდა მუშათა კლასიდან დანაწილებული ახალი საზოგადოებრივი ფიგურა.

ამ პროცესს დრო დასჭირდა, ერთ წელიწადში ეს ხარატი საქართველოს პროფკავშირების ლიდერადაც „აქურთხეს“.

არ გასულა ახალ ამბულაში ყოფნის ორი-ოლე თვეც კი და ყველასთვის მოულოდნელად სტალინი გარდაიცვალა.

მერიას მითითებით და მისივე კონტროლით საქართველოში უმაღლესი სტალინის დანიშნული კადრებისგან განთავისუფლება, ანუ ანგარიშსწორება.

სამთვეწახევარში მერიაც დახვრიტეს და ხრუშჩოვის მიერ დანიშნულმა ახალმა ხელმძღვანელობამ სტალინური კადრების „წმენდას“ მერიასეულიც მიაყოლა თან.

და, რა თქმა უნდა, გაიხსენეს სტალინის მინიშნების შედეგად დანიშნული ის ყოფილი კარგი ხარატი, რომლის მოხსენაც მერიას „მრევლმა“ უბრალოდ ვერ მოასწრო...

ერთი სიტყვით, დადგა მისი თავიდან მო-

რა გააკეთა, ან რა გააკეთა?

(სიკლიდან „არა შეჯდა მწყერი ხნა, არა იყო გვარი მისი“)



შორების ჯერაც.

კომპარტიის ცეკას ბიუროზე, რომლის წევრიც ყოფილი ხარატი უკვე გახლდათ, მას გამოუხადეს, რომ უნდა დატოვოთ თანამდებობა. ეს კი უთხრეს, მაგრამ მიზეზს ვერაფერს ამბობს: როგორი სათქმელია, იმითმ გხსნით, რომ სტალინი იყო შენი რეკომენდატორი...

ყოფილი ხარატი დატოვებს თანამდებობაზე. რამდენიმე წელს იმუშავა, მერე კიდევ უფრო მაღლა გადაიყვანეს იმ შენობაში, ახლა რომ პარლამენტია.

დიდი კამინეტის უკან ოთახი იყო, სადაც იდგა პატარა ჩარხი და ახლა უკვე ძალიან დიდი მაღალჩინოსანი „თავისუფალ“ დროს ჩხიკიდელომდა რაღაც-რაღაცებს, ამ „პროდუქციას“ სიამოვნებით ჩუქნიდა თავის

იშვით სტუმრებს...

მართლა კარგი კაცი იყო მიხილ ლელაშვილი, სამჭოთა საქართველოს უმაღლესი სამჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე (ახლანდელი გაგებით, საქართველოს ვიცე-პრეზიდენტი).

რამ გამახსენა 73 წლის წინანდელი ის ისტორია?

რამ და ყოველივე ეს გონებაში ამოტივტივდა მაშინ, როცა გავიგე, თანამდებობა მოულოდნელად დაუტოვებია განათლების, კულტურის და კიდევ რაღაცების მინისტრს მიხილ ბატიაშვილს.

შოდა, უმაღლესი გამახსენდა გემოთ მოტანილი ისტორიის გმირის – ყოფილი ხარატის, უპატიოსნესი და უკეთილშობილესი კაცის საპასუხო შეკითხვა, როცა მოსთხოვეს ნებით თანამდებობა დატოვება: ამისხსენით, რა გავაკეთე, ან რა გავაფუჭე?

არა მგონია, რაიმე მსგავსი შეკითხვა დაესვა წესიერ, კეთილშობილ კაცად ცნობილ ბატონ მიხილ ბატიაშვილს იმ მომენტში, როცა პრემიერს მიმართა პოსტიდან ნებაცყოფილობით,

„საკუთარი განცხადებით“ (!!!) გადადგომის თხოვნით.

მაგრამ ვისურვებდი, რომ მინისტრობის (დეპუტატობის, შერ – გამგებლობის და ა.შ) კანდიდატებმა დაინიშნებდნენ გაიზარონ საკუთარი შესაძლებლობები და...

აი, მაგ კრიტიკულ მომენტში, როცა ვთავაზობენ „ხელმწიფოსთვის კაცის“ პოსტს, ვამბე და საკუთარ თავს დაუსვი ერთი „მძიმე“ შეკითხვა... იკითხავთ, რა... როგორი?

დავესცხები მეოცე საუკუნის ერთ მუშგერამ კაცს და ჩვენს თემას რომ მიესადაგება, ერთ ღიმილიან 70-წლოვან ისტორიასაც ვაგისხენებ: სტალინი-მერიას ლანძღვა-დაგმობის პერიოდში, მეცნიერებათა აკადემიის მორიგი არჩევნებისას, ცეკას დავალბით „გაამავეს“ დიდი ქართველი მოაზროვნე შალვა ნუცუბიძე.

მეორე დღეს, დედაუნევერსიტეტში, ერთ-მა „შეგობარმა“ პროფესორმა, რომელიც სწორედ ამ არჩევნებისას და სწორედ ცეკას პროტექციით „გაძვრა“ აკადემიის რიგებში, იქედნურად, დამცინავად მიმართა „დამარცხებულს“: რაო, შალვა, რატომ ისე არ ავირჩიეს აკადემიკოსად?

შალვა ნუცუბიძემ ყველას გასაგონად „ხურდა“ დაუბრუნა „ხუმარას“:

შავოშვისა, შავაკითხონ, რაწმომ არ ავირჩიეს, ვიდრე ბარცხულებმა გავიხრეს... რაწმომ ავირჩიესო!!!

გვეყრებთ, მომავლო კანდიდატებო: ნუ გააოცებთ გარშემო მყოფთ, ვინც კარგად გიცნობთ, იცის თქვენი შესაძლებლობები, წარსული, „დიპლომიც“ ნანახი აქვთ თქვენი, „მოტასესაც ერთად იპარავდით“, კომაროვში თანაკლასელების ოინიზობაც ახსოვთ და ხონშიც, შატალაზე ერთად დადიოდით და... დროულად იკითხეთ: ხომ არ ცდებით, გააზრებული გაქვთ ის, თუ რატომ მნიშნავთ ამ თანამდებობაზე?

ეს გამოსაფხილველი, თანაც, დროული და „თავმდაბლურ“ შეკითხვა ყველას ააცილებს უხერხულობას და სასარგებლო იქნება ქვეყნისთვის, დამნიშნავ – რეკომენდატორისა და თანამდებობის მძიმეობისთვისაც...

ახლა ხომ ვარ ღირსი, ვინმემ შემომძახოს: ნეტარ არიან მორწმუნენიო...

კი, ვარ ღირსი! ასე არ არის, გამოსაფხილველი ტაშის დასაცხებად ყოველთვის მზად მყოფო კუკური?!



მრავალსა წელსა თქვენი სიხოსხლა!



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილთან და პირველ ვიცე-პრემიერთან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ლევან დავითაშვილთან ერთად გურჯაანის ღვინის ფესტივალზე იმყოფებოდა.

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მთავრობის მეთაური ესტუმრა მენარმეთა და მეღვინეთა სივრცეებს, „აისის“ პროფესიული სასწავლებლისა და მენარმეთების ხელნაკეთი ნივთების სტენდს გაეცნო, ასევე დაათვალიერა „საქპატენტის“ გამოფენა ადგილობრივი მემკვიდრეობის დასახელებისა და



გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციასთან, დაცვასთან და გამოყენებასთან დაკავშირებით და მოსახლეობას გაესაუბრა. გურჯაანის ღვინის ფესტივალის ფარგლებში ირაკლი კობახიძე დაესწრო სომელითა შოუს, სადაც გაიმართა ღვინის დეგუსტაცია, ასევე მონაწილეობა მიიღო ჩურჩხელის ამოვლევაში. გურჯაანის ღვინის ფესტივალში მრავალფეროვანი საკონცერტო პროგრამით დასრულდა.

სახალხო დღესასწაული „დედოფლისწყარო“

სახალხო დღესასწაული „დედოფლისწყარო“ სხვადასხვა კულტურული, სპორტული და ვასართობი ღონისძიებებით აღინიშნა. საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის ლამაზ ბეჭაურის ვარსკვლავი. მისმა სტუმრობამ სახალხო დღესასწაულზე დედოფლისწყაროელების და განსაკუთრებით ბავშვების საყოველთაო სიხარული გამოიწვია.



ვარსკვლავის გახსნამ დედოფლისწყაროს მერიისა და საკრებულოს გადაწყვეტილებით ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს 50 000, ხოლო მის მწვრთნელს კახა ნიკოლაურს – 10 000 ლარი ფულადი ჯილდო გადასცეს. „დედოფლისწყარო“ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე ილია ზამბაშვილი, კახეთის გუბერნატორი გიორგი ალადაშვილი, პარლამენტის წევრი დამით სონღულაშვილი, ნეკრესის, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის დროებითი მმართველი, მიტროპოლიტი თეოდორე ჯაბაძე და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



„სახალხო დღესასწაულის „დედოფლისწყარო“ მთავარი მოვლენა ხომ საპატიო დედოფლისწყაროელების გამოვლენა და დაჯილდოებაა. პირველი საპატიო მოქალაქის გამოცხადების პატივი მე მხვდა წილად, განაცხადა დავით სონღულაშვილმა და დედოფლისწყაროში დაბადებულ უნიჭიერეს, დედაქალაქში მოღვაწე ნარმატებულ ექიმს ზურაბ რიბიშაშვილს გადასცა სპეციალური დიპლომი – „ენმედის“ გენერალური დირექტორს, ენდოკრინოლოგს, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.“

გადასცა ხათუნა აგლაძეს – ექიმს, დედოფლისწყაროს საავადმყოფოს კლინიკურ მენეჯერს, „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის“ და სხვებს. საზეიმო ვითარებაში დააჯილდოვეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების წარმატებული კურსდამთავრებულები, ოქროსა და ვერცხლის 37 მედალოსანი. ოქროს მედლის მფლობელებს გადაეცა 500 ლარი, ხოლო ვერცხლის მედლის მფლობელებს – 400 ლარის ოდენობით. „დედოფლისწყარო“ – 2024 ვალა-კონცერტით და ფოიერვერკით დასრულდა.

გურჯაანის ღვინის ფესტივალზე სათქმელი სადღეობრივი

ძმთა კახელოთ,
ნამდვილ
ქართველოთ,
სულითა
და გულით
მორწმუნეთა
საამებლოდ



მამი ქვეყანას არჩენს, ღმერთს ახსენებს და აღიღებს, კაცს ამკობს და ადღერძებლებს, ყოფა-ცხოვრებას ახანგრძლივებს და ამხარულვებს. ზვარი! – ეს გაზღვარზღვარებული სიხარულია! ვენახი ანუ მიწის კახელი კაცის აღმაფრენაა, მისი ამოძრავა მარჯვენის მოჭრაა, მისი გადაშენება კი მარბაროსების ავადსახსენებელი სურვილი. გინახავთ თქვენ გასხლული ვაზის ტირილი? – ეს ჩემი მინის ლხინის ცრემლებია. მაგრამ გინახავთ თქვენ, უფალმა ნურც გაჩვენოთ, ცრემლები გაკაფული ვაზისა? – ეს ჩემი სამშობლოს ღვარღვარი მოთქმა და გოდება! ბელტის ოხშივარი მინის ოხვრაა, დაჩეხილი ვენახი – გლეხკაცის ჭირი და სატკივარი! მაგრამ გინახავთ თქვენ, უფალმა ხშირად, მარადუამს გაჩვენოთ დამართობელი სურნელი მტყენბდატკვეფილი მსხმობიარე ზვარი? აბა, ქვევრს გლეხური სიმრძნე ჩასძახეთ, იგივეს არ ამოგახებთ?! რასაც ჩაასხამთ, იმასვე არ დაგაღვინებთ?! ჰოდა, შემოჩვეულ ჭირს – მკურნალი, მტირალს – ცრემლის მომწმენდი, უნუგემოს ნუგემისმცემელი უნდა, ახალგაზრდობის ტვინსა და გულს კი ისეთი კვირტი, რომ-

ლიდანაც მშვენიერი ნაყოფი გამოვა და არა ძალეუროძენა. შრომის გაგანია კახელ გლეხკაცს არავისგან ესწვლება, არც სიზარმაცე ეძალება „ქვეყნის უმეღერებით გულატყენებულს“. ერთობის ცეცხლი და ცხოვრების ხალისი ენატრება მაჭარავით მდღლარე თაობას! დავეზრუნოთ ღვინის გემო და ფასი, აღვადგინოთ მისი შეუზღალავი ღირსება და ეს ღვითთკურთხეული მინა-წყალი ჭეშმარიტად დაილოცება! თქვენ კი, ძმანო კახელო, ნამდვილ ქართველო, ოკუპინის გაღმელებისა და ცისარტყელას იმედზე ნუ დარჩებით, ნელს ღვინო მეტი გვექნება თუ პურიო, მარჩენალი მინის გულში ჩაიხედეთ, ნურც სხვათა მონყალვებს დაელოდებით, ძველებურად, თქვენი მარჯვენის მონაგარით გაიხარეთ. გასატანი ბევრი მოიქონიეთ, შემოსაზიდი – ცოტა... მაღა მაძლართათვის – ჭამაში, მშვიერთათვის კი შრომაში მოდის... „დედმდე სვამენ და ბოლომდე ვერ სცლიან, რამეთუ ესე არს სისხლი ქრისტესი, მრავალთათვის დანთხეული, მისატევეზლად ცოდვათა.“ ყოფითა ჩვენითა კვლავ მოვიპოვოთ მშვეგრძელობა ჩვენი, სარწმუნოებითა ჩვენითა ვეზიართო პურისა და ღვინის მადლს. დღეს საქართველო განსხვავებული სასმისია, ორივე მხრიდან ტურჩამოტეხილი და ძირგამზარული, ბავებჭრელი და ნაჟურმუნოვანი. შენდობა ვთხოვთ უფალს, ჯერ დავიჩოქოთ შეილივით ნაზარდი ვაზის ძირში, შემდეგ კი მამაპაპური შრომის ფერხული გავაჩალოთ! სუფრამზე კი ავდგეთ ფეხზე და ვაზის უკვდავების სადღეგრძელო შევსავთ, საქართველო ნამსვლელო-დამრჩობათა სადღეგრძელოსავით რომ არ დაილოოს!

თქვენებური, არაშენდელი
ჟურნალისტი,
მედაა მოსულიშვილი,



სანაბირის ტაძარი ბოლომდე განახლებულია

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაკვეთით, გურჯაანის მუნიციპალიტეტში მდებარე ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, სანაბირის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულებულია.



კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, მესრულეზულ სამუშაოებს გაეცნენ სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორი ნიკოლოზ აზნაურაშვილი, პარლამენტის წევრი დავით სონღულაშვილი, გურჯაანის მერის პირველი მოადგილე ლერი გელენავა და სააგენტოს არქიტექტორ-რესტავრატორები. სარესტავრაციო სამუშაოები ითვალისწინებდა: ეკლესიის სახურავის თუნუქის საშურვლის, სარინელისა და სანიადვრე არხის მონყობას, ასევე კირის დუღამით ცენტრალური ნავის ზედა ნაწილისა და წმინდა ბარბარეს ეკლესიის სამხრეთ ფასადის საპირე ნყობის ამოგომვას; ჩატარდა კედლის

მხატვრობის გადაუდებელი საკონსერვაციო სამუშაოები. სანაბირი – სამნავიანი ზამილიკა მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულებით, ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი საინტერესო და სახასიათო ძეგლია. ღვთისმშობლის ეკლესია დიდი სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძარია. ეს არის მეთექვსმეტე საუკუნის სამნავიანი ზამილიკა, რომელზეც X-XI და XI-XII საუკუნეებში მიშენებულია სამნაწილიანი კარიბჭე ჩრდილოეთიდან და დარბაზული ეკლესია სამხრეთიდან. ტაძარი მთლიანად მოხატული იყო, თუმცა ჩვენამდე მხოლოდ ფრაგმენტებმა მოაღწია.

ღმერთმა გვიკურთხოს გზები, როგორც ტაძრის ტაძრის მშენებელი

ჩვენს გამოცემის თანახმად, წმინდა ვახტანგ გორგასალს თაბორის მთაზე „ტფილისის“ პირველი ციხე და ტაძარი აუგია. იქვე ყოფილა კათოლიკოსის რეზიდენციაც. თუმცა, უამთა სვლის და თბილისის სწრაფი განაშენიანების გამო, თაბორი მივიწყდა.

მას შემდეგ, რაც საქართველოს საპატრიარქომ რეზიდენცია შეიცვალა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით 2002 წლის სექტემბერში თაბორის ქედზე, ბოტანიკური ბაღის აღმოსავლეთით, ჯვარგუმბათოვანი მშენებელი ტაძარი აშენდა, რომლის საძირკველი თავად პატრიარქს უკურთხებია. მალევე აქ დაარსდა ფერისცვალების სახელობის მამათა მონასტერი, რომლის წინამძღვრად დადგენილი იქნა არქიმანდრიტი ბართლომე (ფირცხალაშვილი).

2017 წლის თებერვალში მონასტერში მონაზვნად აღკვეცი და წინამძღვრთან, საძმოს წევრებთან ერთად მონასტრის მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია დავისახე მიზნად. მომდევნო ორი წლის განმავლობაში, თბილისის მერიისა და კრწანისის რაიონის გამგეობის ერთობლივი



გადაწყვეტილებით, პირველად დაიგო გზის ასფალტის საფარი, მოეწყო ტროტუარი და გარეგანათება, შემდეგ უშუალოდ მონასტრის ეზოში დაიგო ქვაფენილი და მოეწყო ბორდიურები.

2023 წლის მარტიდან დაიწყო თაბორის მონასტერთან მისასვლელი საფეხმავლო ტურისტული ბილიკის მშენებლობა. საქმის მხარმდებელი იყო შპს „ინსტალ+“ (უფროსი ნიკა პოტიურიშვილი), უშუალოდ მშენებლობას კი ამირან კეჭელაძე და ცისკარა ბინაძე ხელმძღვანელობდნენ. მზალტის ქვით მოპირკეთდა კიბეები, ტაძრის გარშემო დაიგო ქვა-ბეტონის საფარი და მოეწყო მოაჯირები.

თაბორელთა გასაჭირის მოგვარებაზე, ასევე, დიდი წვლილი მიუძღვით ლევან ჯაფარიძეს, საბა პატაშურს, გიორგი კახნიაშვილს, დავით კაჭარავას, გიორგი ტყემალაძეს, მეტე მიქაუტაძე.

ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის, საფეხმავლო ბილიკისა და მოსასვლელი სივრცეების მშენებლობის დამთავრებასთან დაკავშირებით არქიმანდრიტმა ბართლომემ თაბორის ფერისცვალების სახელობის ტაძარში სამადლომელო პარაკლისი გადაიხადა. ჩვენი მრევლის წევრები ამიერიდან ტაძარში კეთილმოწყობილი და განათებული გზებით მივლენ.

დალოცვილი და გამარჯვებული ყოფილიყოს ყველა, ვინც იღვწის საქართველოს, ჩვენი დედაქალაქისა და მისი უკეთესი მომავლისთვის, ვინც გვერდით უდგას დედაეკლესიას და არასოდეს უღალატებს მამულს, ენასა და სარწმუნოებას. მადლიერებითა და მოკრძალებით,

მონაზონი იოანე (ბაბუკა) ცუხიშვილი
თაბორი



პარლამენტის პროზნული ბიბლიოთეკის საჩუქარი მარნეულელ მოსწავლეებს

11 ოქტომბერს მარნეულის მუნიციპალიტეტის ხუთმა სკოლამ, რომლებიც ჩართული არიან არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის პროგრამაში, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისგან საჩუქრად 750-მდე წიგნი მიიღო. ინფორმაციას ეროვნული ბიბლიოთეკა ავრცელებს.

წიგნების გადაცემის ღონისძიება მარნეულის საჯარო ბიბლიოთეკაში შედგა.

ღონისძიებაზე მონაწილე სტუმრებს სიტყვით მიმართეს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა კონსტანტინე გამსახურდიამ, დირექტორის მოადგილემ მირიან ხოსიტაშვილმა და არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის პროგრამის მენეჯერმა ნინო ზერიკაშვილმა.

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების არაქართულენოვანი სკოლებისთვის სასკოლო ბიბლიოთეკების მოსაწყობად წიგნების გადაცემა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრსა და პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში დაიგეგმა. წიგნები ყველა არაქართულენოვან სკოლას გადაეცემა.

პროექტის მიზანია ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების არაქართულენოვან სკოლებში განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის გაზრდა, მოსწავლეებში წიგნიერების დონის ამაღლება და არაფორმალური სწავლების პრაქტიკის გაუმჯობესება სახელმწიფო ენის გაძლიერების გზით.



ეროვნული კინოსტუდია კვლავ კინოსტუდიაში

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით ძველი კინოსტუდიის ტერიტორიაზე მდებარე აღმინისტრაციულ შენობაში ეროვნული კინოსტუდიის თანამედროვე სტანდარტების სრულად განახლებული ოფისი გაიხსნა.

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, ღონისძიებას საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი იოსებ მალაიაშვილი და მინისტრის მოადგილე და საქართველოს ეროვნული კინოსტუდიის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი კობა ხუბუნია ესწრებოდნენ.

კინოსტუდიის ახალი ოფისი აღმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე მოეწყო. სამინისტროს სახსრებით სრულად აღდგა და გარემონტდა ინტერიერი.

„აღსანიშნავია, რომ ამ ისტორიულ შენობას საძირკველი ჰქონდა დაზიანებული და განადგურდებოდა, რომ არა სამინისტროს მიერ გამოყოფილი სახსრები მის გადასარჩენად – ძველის რესტავრაციისთვის. აღმინისტრაციული შენობის დარჩენილ ნაწილში კვლავ გრძელდება რესტავრაციის პროცესი. უკვე შეიცვალა შენობის სახურავი, გამაგრდა მზიდი კონსტრუქციები. სამუშაოებს ატარებს შპს „არტექსი“.“

შედეგად, კინოსტუდია იმ კერას დაუბრუნდა, სადაც დაიწყო ქართული კინონარობა. ეს შენობა საუკუნეზე მეტს ითვლის, მაგრამ ეს ადგილი საზოგადოების სსოვნას კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სახელით შემორჩა.

შევეთრად გამოხატული ეროვნული ელემენტების გამო შენობის არქიტექტურა თავის დროზე საბჭოთა ნომენკლატურამ დაინუნა, დღეს კი, დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, ეროვნული კინოსტუდიის უკვე რესტავრირებული შენობა ისევ გამოხატავს



ქართული კულტურის თვითმყოფადობას, როგორც ქართული კინო.

როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, 2022 წლიდან საქართველოს კულტურის სამინისტროს ინიციატივით აქტიურად მიმდინარეობს დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე ძველი კინოსტუდიის ტერიტორიისა და იქ მდებარე შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები. 2022 წლის განმავლობაში დაინერგა გვიანდელ პერიოდში ჩადგმული უსახური, ბარაკული ტიპის ავარიული შენობები, ტერიტორიაზე დაიგო ასფალტი და მოეწყო გამწვანება; დამონტაჟდა გარე განათების სისტემა; გაკეთდა წყლის ახალი ქსელი და სრულად შეიცვალა კანალიზაციის სისტემა; ყოფილ ფირსაცვ შენობაში ჩატარდა სრული

რეაბილიტაცია და მოეწყო თოჯინების სახლი; ყოფილი სახანძრო სამსახურის 300 კვ. მ ორსართულიან შენობაში რეაბილიტაციის შემდეგ ბინა დაიდეს მეთოჯინეებმა, კინემატოგრაფიის დარგში კასტინგის კომპანია, ფოტოგრაფიის სახელოსნომ, ტრადიციული ლურჯი სუფრის შოუ-რუმმა. გადარჩენის მიზნით რუსთავის ავტოდრომიდან გადმოტანილი იქნა ორი მოზაიკური პანო და ისინი ძველი კინოსტუდიის ტერიტორიაზე განთავსდა. ამასთანავე, მოეწყო ახალი საგამოფენო სივრცე, რომელიც სამხატვრო აკადემიას გადაეცა სამართავად. გარდა ამისა, განახლდა ლობე.

2023 წელს ყოფილი ხის საამქროს ადგილზე დაიწყო ახალი შენობის მშენებლობა. სამშენებლო სამუშაოები 2024 წელს დასრულდება. შენობა იქნება მულტიფუნქციური სახელოვნებო სივრცე 100 მაყურებელზე გათვლილი კინოდარბაზითა და საგამოფენო სივრცეებით. სამუშაოების დროს მიწისქვეშ აღმოჩნდა ორი აგურის წყობის გვირაბი, რაც, ასევე, პროექტის ნაწილად იქცა.

ორი ისტორიული, 1920-იან წლებში აგებული კინოპალატის ნაშთებისა და რეაბილიტაციის მიზნით 2024 წელს დასრულდა ყოფილი მულტსტუდიის შენობის გვიანდელი პერიოდის ავარიული ნაწილის დემონტაჟი.

2023 წელს დაიწყო ყოფილი ლაზორატორიის შენობის გამაგრება და რემონტი. სამუშაოები 2025 წელს დასრულდება.

2024 წელს დაიწყო და ამავე წლის აგვისტოში დასრულდა ხუთი თეატრისთვის სასაწყობო და საარქივო სივრცეების კეთილმოწყობა.

XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში აგებული შენობა დავით აღმაშენებლის გამზირის ერთ-ერთი გამოჩენილი ნაგებობაა, რომელიც თავდაპირველად აშენდა, როგორც ელიტური საცხოვრებელი სახლი.

მოგვიანებით შენობამ თავისი მაღალმხატვრული მნიშვნელობის გამო საზოგადოებრივი ფუნქცია შეითავსა. 1950-იანი წლებიდან აქ დოკუმენტური ფილმების სტუდია განთავსდა...

ახალი საავადმყოფო! ბოლნისში



ბოლნისში, მალალტეცნოლოგიური, მრავალპროფილური, 111 საწოლზე გათვლილი საავადმყოფო გაიხსნა. ბოლნისის ცენტრალური კლინიკის გახსნას ჯანდაცვის მინისტრი დაესწრო. მიხეილ სააკაშვილმა კლინიკა დათვალიერა და იმ სერვისებს გაეცნო, რასაც დაწესებულება პაციენტებს შესთავაზებს.

მინისტრმა სამედიცინო სერვისების გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ სახელმწიფო გააგრძელებს მჭიდრო თანამშრომლობას კრძო სექტორთან, რათა პაციენტისთვის უზრუნველყოფილი იყოს მაღალი ხარისხის სამედიცინო სერვისი მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ბოლნისის ცენტრალური კლინიკა სრულიად გარემონტდა და განახლდა, აღიჭურვა ახალი აპარატურითა და ინვენტარით. კლინიკაში ფუნქციონირებს მოზრდილობა და ბავშვთა გადაუღებელი დახმარება „ემერჯენსი“ – მე-3 ღონის, მოზრდილობა და ბავშვთა: ქირურგია, თერაპია, რეანიმაცია, ინტენსიური, ოტორინოლარინგოლოგია, მოზრდილობა ნევროლოგია, კარდიოლოგია, ნეიროქირურგია, გინეკოლოგია, ინტერვენციული კარდიოლოგია, ტრავმატოლოგია, ოფთალმოლოგია, რენტგენოლოგია და კომპიუტერული ტომოგრაფია. ასევე სტაციონარული დიალიზი.

რეზიუმე რეზიუმე რეზიუმე!

პირველი ქართული ფრანკიზმა „შავმა ლომმა“ პორტუგალიურ „ლუზიტანუსს“ განმეორებით მატჩში უმანსოდ (36:0) სძლია და რაგბი ევროპის სუპერთასი შედარებით მეტად მოიპოვა.

წელს ტურნირი განსხვავებული სისტემით ჩატარდა. თანამდევის სულ სამი გუნდი იბრძოდა, რომლებმაც ორ წრედ (შინ და გარეთ) ითამაშეს. „შავმა ლომმა“ ოთხივე შეხვედრა ბონუს-ქულით მოიგო და ჯამში 20 ქულით პირველი ადგილი დაიკავა.

ამას თან ახლდა რეკორდები. პირველი ტურში ესპანურ „იბერიანსს“ ისტორიაში ყველაზე დიდი სხვაობით ვძლიეთ (54:3, შინ 47:21); მესამე ტურში „ლუზიტანუსი“ ლისაბონში დავამარცხეთ (38:14), თუმცა სამიოდე კვირამი მასთან სარეკორდო მარჯვენა გავუმჯობესეთ – 36:0.

რაგბი ევროპის სუპერთასი მეოთხედ ჩატარდა და ის ოთხივეჯერ „შავმა ლომმა“ მოიგო. თასი წელს პირველად შემართეს რიჩარდ ქოქერლმა და გუნდის 11-მა დებიუტანტმა.

„ლუზიტანუსი“ პირველად ჩამოვიდა თბილისში და თავიდანვე წნეხში მოექცა. დებიუტში ჯარიმები კარში არ დავარტყით, მეტოქეს ფორვარდებით მივეძალოთ, საიდანაც ბურთი ხაზზე გავიდა, ლუკა მატკავაძე სივრცე შენიშნა, მცველს შემოურბინა და ლულო-გარდასახვით ანგარიში გახსნა. ასეთი დასაწყისი

სუპერთასი მივიტოვეთ



მიუხედავად ტემპი დაეცა და მასპინძლები ეპიზოდურად ახერხებდნენ გულშემატკივრის ლამაზი შეტევებით გახარებას.

მე-18 ნუთზე მეორე ლელო უნდა გასულიყო. თეგბე პერანიძემ თავისი ნახევრიდან

შერკინების შემდეგ შეუტია და მარცხენა ფრთაზე ბურთი საბლოკო თოდუს გააყოლა, რომელმაც პირველი მზოგავი მძლავრი კონტაქტით ჩამოიშორა და ბურთი პერანიძეს დაუბრუნა, თუმცა მან მისი შემავრება ვერ მოახერხა.

24-ე ნუთზე დერეფნიდან მძლავრი მოლი დაეყენეთ, რომელმაც სწრაფად დაფარა 7-8 მეტრი და ლელო გიორგი სინაურიძემ გაიტანა. მომდევნო ეპიზოდში მოლის შემდეგ ბურთი მოკლე ფრთაზე პერანიძეზე გავიდა და მან თავისი პირველი ლელო გაიტანა, ხოლო 35-ე ნუთზე მოლი უკვე მარცხენა ფრთაზე ავაგორეთ და მისი განზრახ ჩაქვივისთვის „ლუზიტანუსი“ საჯარიმო ლელოთი დაისაჯა – 24:0.

მეორე ტაიმში ტემპი კიდევ უფრო დაეცა და მხოლოდ ორი ლელო გავიდა. 59-ე ნუთზე მეტოქე მისსავე ლელოს სიახლოვეს წნეხში მოვაქციეთ, რასაც ფეხით მოგერიებისას შეცდომა მოყვა. ოვალს პერანიძე დაეუფლა, სუფთად გაჭრა ხაზი და გუნდის მეხუთე ლელო მიითვალა. 64-ე ნუთზე შეტევაში ტემპს ვუმატეთ და უმაღლესი სივრცეები, ხელდახელ ბურთობით მარჯვენა ფრთაზე მეტობა გავითამაშეთ და აკა ტაბუკაძის კარგი პასის შემდეგ ამირან შუაგირაძემ შეხვედრის ბოლო ლელო გაიტანა – 36:0.

ახლა „შავი ლომის“ ბირთვი ნოემბრის სანაკრებო ტესტ-მატჩებზე გადაერთვება, დანარჩენები კი დიდი 10-ის კლუბებს გააძლიერებენ. ნოემბრის ბოლოს გუნდი ისევ შეიკრიბება და ჩელენჯ თასის 2024/25 წლების სეზონისთვის გააგრძელებს მზადებას, რომელიც დეკემბერში იწყება.

ღრუბლები...

დაპეუპატი მიწაზე!



ტრადიციულ როგორც იწყება, ადრე თუ გვიან ისევე მთავრდება, ამიტომ სატურნირო ცხრილის თვალსაზრისით არაფერია საგანგაშო იმაში, ერთა ლიგის „ბ“ ლიგის „ა“ ჯგუფის პირველი წრის ფინალში უკრაინასთან პოლონურ პოზიციებში 0:1 რამდენად მარცხდით, რადგან ლიდერობა მაინც შევიწინარჩუნეთ და დღეს 20 საათზე მიხედვით მესხის სტადიონზე აღმართული სარეკორდო რეზიუმე შეგვიტყდა.

უკრაინა – საქართველო 1:0
პირველი ტაიმი 1:0
საქართველო: მამარდაშვილი, კაკაბაძე, გველესიანი, კაშია, დვალი, ლორთქიფანიძე, ქორჩიაშვილი, კიტეიშვილი, ჩაკვეტაძე, კვარაცხელია, მიქუტაძე. ითამაშეს აგრეთვე შენგელიაძე, დავითაშვილი და ზვიგზიაძე.
მომლი: მურდუკი (35-ე წთ).
წერილი ტრადიციულად საუბრით დავიწყეთ და თუ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს დამოუკიდებლობის პერიოდში უხერხული მეტოქე ჰყავს, ირანდელითა მსგავსად

უპირველესად ეს დნებისპირველებზე ითქმის, რომელთა ანაც ჯერ მოგება არა გვაქვს (უკვე 10 შეხვედრაში 3 ფრე და 7 ნაგება), ასეთი კატასტროფული ბალანსის ფესვების ძიებას კი საკუთარი ჩემპიონატებამდე მივყავართ, როცა თვით ძლიერობის თბილისის დინამოსაც კი არანაკლებ მესხისთან თანაკლებელთან დაახლოებით 30 სეზონის განმავლობაში კვივეთ 1 მატჩს კი არ მოუგია და ნავსი მხოლოდ რვაჯერ ჩელენჯის დუბლით გატეხა (3:1).

მაშ, რას ეფუძნებოდა ვილი სანიოლის გუნდის ქომაგთა ბრძოლისწინა ოპტიმიზმი მაშინ, როცა განვლილ ისტორიულ ევრო – 2024-ზე არც სერგეი რებროვის მეგობრებს შეურაცხველით თავი და გერმანიაში, პირველად კონტინენტური ფორუმის მატჩებში, 4-ქულიანი მონაგრით დარჩნენ პლეი-ოფს მიღმა?

გადამწყვეტი ფაქტორი გახლდათ მთელ რიგ უკრაინულ ვარსკვლავთა ტრავმები, მაგრამ რატომღაც ცოტა უსვამდა ხაზს მათ შემცველთა ასევე მაღალ დონეს – თანამედროვე უკრაინული ფეხბურთი ხომ ტალანტთა ისეთი სიმრავლით გამოირჩევა, ომის მიუხედავად არმეწყვეტილი უმაღლესი ლიგის მონაწილეთა ჩათვლით, რომ მის თავაკაც სულ მცირე ორი სრულფასოვანი ძირითადი შემადგენლობის დაყენება შეუძლია?

სხვათა იმედად

იმედ, მაინც...

მომხდის, რასაც ყველა გარემო – კონკრეტულად, საქართველოს 21-წლამდელთა საფეხბურთო ნაკრებმა ვერ შეასრულა პროგრამა-მინიმუმი და ევრო – 2025-ის ფინალურ სლოაკურ ტურნირზე მოსახვედრად პლეი-ოფში სათანამოდ ნებართვის დაუფლება ნიდერლანდელთა პრეზიდენტად აქცია.

დაახ, რადგან ნარინჯისფერებს აქამდე გამართული 9-ვე (!) მატჩი მოგებული აქვთ და შესაბამისი სავსე კარგა ხანია ჯიშვით უღვდოთ, მეორე გამსვლელი ადგილის დაკავება მათ პატიოსან თამაშზე დამოკიდებული, ანუ უმოტივაციო ფავორიტმა სტუმარ შედეგებს ხვალ შინ ჩვენთვის სასურველ შემთხვევაში მინიმუმ ფრედ მაინც უნდა ეთამაშოს და რამაშ სენაძის გუნდმა ქუთაისში ჩრდილოეთ მაკედონია უნდა დასცეს.

ვიქონით ბენილუქსელთა იმედოვნობა? რა მეტი გზაა, თუმცა, ვინ იცის...
შედეგი – საქართველო 3:2
პირველი ტაიმი 2:1
შეხვედრა უმცროსი ჯვაროსანთათვის იდეალურად დაიწყო – ოლიმპიას უმუსტესი გადაცემით ლაცაბიძემ მასპინძელთა კარის ცხრიანი დალაშქრა და დიდი ფორა მოგვცა, მაგრამ...

მალევე გამოიკვთა, რომ დაცვისა და ნახევარდაცვის ცენტრალური ზონები მორღვეული გვექონდა და მეტოქე იქ თავისუფლად დანაგარდობდა, რასაც ჩვენგურთა კაპიტან ხადაგაიანის ბავშვური შეცდომებიც თან დაერთო და მიზნის მიღწევა საოთრ გავიხდა.

არადა, უღბლომას ნამდვილად ვერ დავაბრალებთ ნაგებას. პირიქით – ერთ ეპიზოდში ძელმა გვიხსნა, მეორე ბურთი კი სვანდინავიელებმა ავტომატულით კვარჩქეს. ვერც მსაჯობაზე გვექნება პრეტენზია – რამდენჯერმე მასპინძლები უშედეგოდ ითხოვდნენ პენალტს. სხვა თემმა, რამდენად სამართლიანად, მაშ, რაშია საქმე?



ალბათ, არსებობის უფლება აქვს მოსაზრებას, რომ აზაროვის მსგავსად, იქნებ ეროვნული ნაკრების 9 უკანახაგელიდან და 8 შუახაგელიდან თითო-თითო უმცროსათვის შეეშველებინათ, მით უმეტეს მაშინ, როცა კარგა ხანია ადრე ცნობილი იყო, რომ ნორჩოპინგში გამოირიცხული იყო ტრავმირებული საზონოვის, სიგუსა და დისკვალიფიცირებული გავიძის თამაში.

ტაბაზა

რეპერის მძლავრი

აშშ დამის გრანდ სლოში საქართველოსთვის მეორე სამუქირო დღე წარმატებული გამოდგა – ბასურ ღმარაშვილმა ვერცხლის, ხოლო დიმიტრი მონილაძემ ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.
81 კგ წონით კატეგორიაში დვალაშვილმა უხერხული მენდლე ტოტი, მასპინძელთა სახელით მოასპარევე ქართველი ნუგზარ ტატალაშვილი და რუსეთელი დავით კარაპეტინი დაამარცხა, ხოლო ფინალში აზერბაიჯანელ ზელიმ ცაკაევთან დამარცხდა ვაზარით და შესაბამისად, ვერცხლს დაეუფლა.
ამავე წონაში დიმიტრი გოჩიაიძემ ჯერ უზბეკი, შემდეგ რუსი მეტოქეები დაამარცხა, მაგრამ ნახევარფინალში ცაკაევთან ნაავო. ბრინჯაოსთვის შეხვედრაში გოჩიაიძემ ტატალაშვილის ძლიერ მოახერხა.

ბურთის ნაგებობი

საფეხბურთო ციფრ-ცხილებზე უკანა პლანზე გადასწია სპორტის სხვა სათანამო სახეობებში ჩვენთვის საინტერესოდ განვითარებული მოვლენები, ამიტომ ვცადით მათაც დავეთხოთ ყურადღება.
ხელშეწყობი. საქართველოს ეროვნული ნაკრების ლიდერი გიორგი ცხოვერებამ მალევე გაუშინაურდა ახალ კლუბს და უკვე გერმანული გრანდის – გემერსბახის ერთ-ერთ ნამყვან ფიგურად გვევლინება. ამჯერად ჯვაროსანმა ევროპა ლიგაზე შევედურ სავეპოფთან 37:35 მოგებულ საშინაო შეხვედრაში პარტნიორებს 3 გოლი შეაშველა და მორიგ ბრძოლას ისლანდიურ ჰაფენარფიორლურთან გამართავს.
პალატაშეწყობი. ისევ არ გაუმართლა ვირტუსს, რომელმაც ევროლიგის ახალი სეზონის ზედიზედ მეორე მატჩი საფრანკეთში ვილერბანთან 85:87 დათმო. აღნიშნულ მარცხს კიდევ

ბერის როლები

უფრო დასანანს ის ფაქტი ხდის, რომ სტუმრებმა 16-ქულიანი ჩამორჩენა გააბათილეს და ძირითადი დროის უკანასკნელ ნაწილში შეხვედრის გადარჩენაც შეეძლოთ, მაგრამ ჯერ შენგელიამ, ხოლო მოლოდინი კორდინიემ მოძებნილი მანსით ვერ ისარგებლეს. მთლიანობაში თორნიკეს პირად მონაგარს არაფერი დაეწუნება – 9 ქულა, 5-5 მოხსნა – ასისტი და 1 დაფარება, ნავსის გატეხვას კი ბოლონიელები კაუნასის ჟალგირისთან შეეცდებიან.
სამია „ა“. ვენეცია – ვირტუსი 68:76. შენგელია – 17 ქულა, 4 მოხსნა.
წყალბურთი. ნარუმატეგელი აღმოჩნდა ახალი მერძენი მთავარი მწვრთნელის დებიუტი თბილისის დინამოში, რომელიც ჩემპიონთა ლიგის სტარტზე უხერხული ფერენცვაროშთან 7:16 დამარცხდა და ხვალ ხორვატულ იადრანს უმასპინძლებს.

სპორტის საგანმანათლებლო მუშაუნი რუსთაველი



მატაკივილი და ალექსანდრე დალაქივილი. ღონისძიებას ოლიმპიური კომიტეტისა და სპორტის უნივერსიტეტის წარმომადგენლები, რუსთაველის საკრებულოს ფრანკო „ქართული ოცნების“ წევრები, რუსთაველი ოლიმპიელები გიორგი სარდალაშვილი და ლამა გურული, მოქმედი და ყოფილი სპორტსმენები, დამსახურებული მწერ-

ნელები ესწრებოდნენ. სპორტის მუშაუნი სამუშაო, საექსპოზიციო და საგანმანათლებლო სივრცეებს აერთიანებს. საექსპოზიციო სივრცეში საერთაშორისო ასპარეზობებზე რუსთაველი სპორტსმენების წარმატებების ამსახველი ჯილდოები და თასები, ასევე ფოტოები წარმოდგენილი. საგანმანათლებლო სივრცეში კი სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროექტები დაიგეგმება და განხორციელდება. მუშაუნი რუსთაველის მერიის ინიციატივით სპორტის განვითარების ცენტრის რეფორმის ფარგლებში გაიხსნა.

სპორტის სასახლეში შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართეს ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი დობტურიშვილმა, საქართველოს პარლამენტის წევრებმა შოთა ხაბარელმა, ირაკლი

ბათუმის შემოვლითი გზა გაიხსნა

ბათუმის შემოვლითი 14 კმ-იანი მაგისტრალური გზის მშენებლობა დასრულდა და გზა ავტორანსპორტისთვის გაიხსნა.



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინიციატივით, ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, აშენდა 14 კმ-იანი, 2 ზოლიანი ასფალტ-ბეტონის გზა, რომელიც მოიცავს 20 ხიდს და 5 გვირაბს.

ახალი მაგისტრალური გზა აშენებულია საგზაო უსაფრთხოების საერთაშორისო ნორმებთან და სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში, სადაც ჩატარდა საგზაო უსაფრთხოების ყველა ღონისძიება და უმაღლესი სტანდარტისთვის, უზრუნველყოფილია საგზაო განათების სისტემით. შემოვლითი გზა გვერდს უვლის ბათუმს და ტრანზიტული მოძრაობისგან სრულად განტვირთავს ქალაქს. ახალი გზა იწყება მახინჯაურთან და სრულდება ხელვაჩაურში. შემოვლითი გზაზე მონტაჟდა 4 სატრანსპორტო კვანძი, რომლითაც ტრანსპორტს საშუალება აქვს, დაუკავშირდეს როგორც მიმდებარე სოფლებს, ისე ბათუმში შესასვლელ მთავარ ქუჩებს.

ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობაზე, ავტორანსპორტი, მათ შორის, საერთაშორისო სატრანსპორტო ტრანსპორტი, საცხოვრებელ და ტურისტულ ზონაში მოძრაობდა, რაც ართულდება მიმოსვლას და ქმნიდა საცობებს. ბათუმის შემოვლითი გზა, ქობულეთის შემოვლითი გზასთან ერთად, სრულად განტ-

ვირთავს მოძრაობას აჭარის საკურორტო ზონაში, გააუმჯობესებს ქალაქში ცხოვრებისა და დასვენების პირობებს. ახალი გზა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს გამტარობისა და სატრანსპორტო ტვირთბრუნვის ზრდასაც. ბათუმის შემოვლითი გზა დასავლეთ-აღმოსავლეთის ვერტიკალური მარშრუტის (E70-ის) შემადგენელი ნაწილია, რომელიც ესპანეთში იწყება და 8 ქვეყნის გავლით, ფოთში მთავრდება. აღნიშნული საერთაშორისო დერეფანი მნიშვნელოვანია დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა საგზაო ურთიერთობისთვის, ტურისტული მოგზაურობისთვის, კულტურული კავშირებისთვის. ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობის პროექტი აზიის განვითარების ბანკისა (ADB) და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკისგან (AIIB) მიღებული სესხების ფარგლებში და სახელმწიფო მიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა. პროექტის ღირებულებამ 330 მილიონი ლარი შეადგინა.

განცხადება

გაცნობებთ, რომ ნოტარიუს მარიამ კვარაცხელიასთან, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა N10, ბინა 28, მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება, კერძოდ 2023 წლის 6 დეკემბერს გარდაცვლილი მოქალაქე ვლადიმერ დიმიტრის ძე შინკოს (დაბადებული 1920 წელს, გარდაცვალების მოწმობა N77247005804) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქალაქ ბათუმში, წერეთლის ქუჩა N24-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (ტექნიკური აღრიცხვის არქივის მონაცემებით) 23/226 ნაწილის უმკვიდროდ ცნობა და სახელმწიფო სახელზე სამემკვიდრო მოწმობის გაცემა. დაინტერესებული პირები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა გამოცხადდნენ სანოტარო ბიუროში მისამართზე: ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა N10, ბინა 28.

რაბომ არ ემართებათ ვეშაპებს კიბო?



პარადოქსია, მაგრამ... ფაქტია!

ბიბანტურ ვეშაპებს თავისი სხეულის ზომისთან შედარებით ძალიან პატარა სიმსენე უჩნდებათ. ეს გახლავთ ბიოლოგიური შესაბამისობა, რომელსაც პეტოს პარადოქსს უწოდებენ და რომელიც აღწერს, რატომ არ უვითარდებთ უფრო ბევრი სიმსენური ქსოვილი ამ გიგანტურ, დღევანდელ ცხოველებს, რომლებსაც ტრილიონობით მეტი უკრები აქვთ, ვიდრე ადამიანებს ან სხვა პატარა არსებებს.

კიბო არის უკრების თავაშვებული დაყოფის დაავადება, რომლის დროსაც, გენეტიკური მუტაციები განაპირობებს უკრების დაუსრულებელ დაყოფას, რა დროსაც წარმოიქმნება სიმსენის სახელით ცნობილი მასები. შესაბამისად, ალბათ იფიქრებთ, რომ რაც უფრო დიდია ცხოველი, მეტი უკრები აქვს და უფრო დიდია შანსი, რომ ამ უკრებში აკუმულირდეს გენეტიკური ხარვეზები, რომლებიც გამოიწვევენ კიბოს, განსაკუთრებით თუ ეს ცხოველი კიდხანს ცოცხლობს. თუმცა, 1970-იან წლებში, როდესაც ერთმანეთს თავგებდა და ადამიანებს აღარებდა, სახელგანთქმულმა ბრიტანელმა სტატისტიკოსმა რიჩარდ პეტომ შენიშნა, რომ ეს ასე არ იყო. შემდეგმა კვლევებმა აჩვენა, რომ დიდ და პატარა ცხოველთა შორის, კიბო სულაც არ იყო უფრო მეტად წარმოდგენილი ისეთ სახეობებში,

რომლებსაც უფრო მეტი უკრები აქვთ. ვეშაპების მსგავსად, დიდი მოცულობის კიბოები არც სპილოებს აქვთ.

ახლახან, ნიუ-იორკის როჩესტერის უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფმა ამ პარადოქსის გამოსავალს გრენლანდიურ ვეშაპებში (Balaena mysticetus) მიაგნო — დედამიწაზე მეორე ყველაზე დიდ, მაგრამ ყველაზე დღევანდელ ცხოველებში.

„იმ ცხოველების შესწავლით, რომლებიც თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში ინარჩუნებენ ჯანმრთელობას და თავს არიდებენ კიბოთი სიკვდილს, უნიკალურ ცნობებს ვიღებთ გლობალურ ევოლუციურ მექანიზმზე ჩამოფარებული ფარდის მიღმა, რომელიც კიბოსა და დაზარალების იმაზე მეტ მექანიზმზე ზემოქმედებს, ვიდრე ოდესმე წარმოგვედგინა“, — წერენ ბიოლოგი დენის ფირსანოვი და მისი კოლეგები ჰუმბოლტის უნივერსიტეტის რეცენზირებული არ არის.

ლაბორატორიულ ექსპერიმენტთა სერიაში, მკვლევარებმა დაადგინეს, რომ გრენლანდიური ვეშაპის უკრები უკეთესად ახერხებენ დაზიანებული დნმ-ის აღდგენას, ვიდრე ადამიანების, თავგებისა და ძროხების უკრები. როგორც ჩანს, ვეშაპები დნმ-ის დაზიანებას საფუძველშივე ახშობენ „სხვა ცხოველებთან შედარებით უნიკალურად მაღალი ეფექტიანობითა და სიზუსტით“, — წერენ მკვლევარები.

განცხადება

საჯარო განხილვის შესახებ

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ქობულეთის შემოვლითი გზის 4-ზოლიანი მაგისტრალად მოდერნიზაციის პროექტი

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვების დრო და ადგილი: 2024 წლის 30 ოქტომბერი, 12:00 საათი, ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა, 2024 წლის 30 ოქტომბერი, 15:00 საათი, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ხუცუბნის საჯარო სკოლის შენობა, 2024 წლის 31 ოქტომბერი, 12:00 საათი, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბობოყვანის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა, 2024 წლის 31 ოქტომბერი, 15:00 საათი, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ციხისძირის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა, 2024 წლის 1 ნოემბერი, 12:00 საათი, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. საჩინოს საჯარო სკოლის შენობა, 2024 წლის 1 ნოემბერი, 15:00 საათი, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჩაქვის N1 საჯარო სკოლის შენობა.

გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 4 ნოემბრის ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნილ მიმართულებით ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 3 ოქტომბერი. განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს სკოპინგის დასკვნას.

არგვეთში მუხრანის სული ქილავ ერთხელ აბოჯოქრდა!

მუხრან მაკაშვილის დაბადების 95 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, სოფელ არგვეთში, მისივე სახელობის ლიტერატურული კონკურსის „მუხრანის პრემია – პოეტური მინიატურების“ გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია, პოეტის სახლ-მუზეუმის ეზოში გაიმართა.


საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციით, 10 საუკეთესო

მინიატურის ავტორი გამოვლინდა. საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიამ ყველა გამარჯვებული დააჯილდოვა, ხოლო გამარჯვებულ სამეულს – ია ხასაიას, ზადრი სულაძეს და შორენა შაპიძეს გადაეცათ ასევე ფულადი ჯილდო, შესაბამისად: 1000, 800 და 600 ლარის ოდენობით.

ამასთან ერთად, არნოდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა დაანუნა ნომინაცია „სიტყვაქმნილობით გამორჩეული მინიატურა“.

ნომინაციაში დასახელებულა **ერმილე თოფური**. მას პრიზი თბილისის თსუ კავკასიოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა მერაბ ჩუხუაძემ გადასცა.

ლონისძიებში მონაწილეობდნენ სოფელ არგვეთის საჯარო სკოლის



მუხრანის პრემია -
„სიტყვაქმნილობით გამორჩეული მინიატურა“

მოსწავლეები, სტუდია „არტისტიკის“ მომღერლები და სოლო შემსრულებლები.

დაჯილდოების ცერემონიას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, საჩხერის საგანმანათლებლო რესურსცენტრი, პოეტების საზოგადოება, სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოქალაქეები ესწრებოდნენ.

საჩხერეში მუხრან მაკაშვილის სახელობის სკვერში პოეტის ბიუსტი გვირგვინით შეამკეს.



„მუხრანის პრემია – პოეტური მინიატურები“ საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიის დაარსებულია და უკვე რამდენიმე წელია იმართება.

მატილდა გვარდიანი Victoria's Secret-ს შოუზე ხვალ გამოვა

ქართული მოდელი, მათილდა გვარდიანი Victoria's Secret-ის შოუსთვის შერჩეულა - ამის შესახებ ინფორმაციას, გამოცემა Fashionholics Online სოციალურ ქსელში ავრცელებს. ინფორმაციას, მათილდა გვარდიანის სამოდელიო აგენტი ნინო ციციტიანი სოციალურ ქსელში ადასტურებს.

ჩვენი ლამაზმანი პირველი ქართველი მოდელია, ვინც ამ საოცარ და საოცნებო შოუში მიიღებს მონაწილეობას.



მულტიკულტურული ფესტივალი ახალციხეში

ახალციხის ციხეზე, ტოლერანტობის სიმბოლოდ წოდებულ რაბათის ისტორიულ უბანში, მულტიკულტურული ფესტივალი გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში სხვადასხვა სახის კულტურული და გასართობი აქტივობები მოეწყო.


ფესტივალს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებული ბესიკ აბოიანი, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი ირაკლი ლაზარაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლომიძე, სამხარეთო ადმინისტრაციის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ქალაქის საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ.

ახალციხელებს და ქალაქის სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გასცნობოდნენ ახალციხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა კულტურულ ტრადიციებს და ადგილობრივ სამზარეულოს.

ფესტივალის მნიშვნელობაზე ისაუბრეს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერმა ირაკლი ლაზარაშვილმა, სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ დავით ვარდიანიშვილმა,

სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის პროფესორმა, ახალციხის საპატო მოქალაქემ მერაბ მერიძემ და ქალაქის კოლორიტმა და ამავე დროს საპატო მოქალაქემ შიკო ბაბასანიანმა. აქცენტი გაკეთდა საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა კეთილშობილურ ურთიერთობებზე და თანაცხოვრებაზე, აღინიშნა, რომ ფესტივალის გამართვა მომავალში ტრადიციად იქცევა.

ფესტივალის ფარგლებში ასევე, გაიმართა კონცერტი ადგილობრივი ანსამბლების და მუსიკალური ჯგუფების მონაწილეობით, მოეწყო საჩვენებელი სპორტული აქტივობები, ხელნაკეთი ნამუშევრების, ხალხური რეწვის ნიმუშებისა და ადგილობრივ მხატვართა ნახატების გამოფენები. ასევე, დაჯილდოვდა ერთიანი ეროვნული გამოცდებზე 100 %-იანი სახელმწიფო გრანტის მქონე 3 ახალციხელი სტუდენტი, რომლებსაც მუნიციპალიტეტის მერიისგან ფულადი ჯილდო გადაეცათ. მულტიკულტურული ფესტივალი ზვიად ბოლუქვაძის და მისი ზენდის კონცერტით დასრულდა.



პრეზიდენტის რაიონში ტრადიციულად, გრიშაშვილის დღესასწაული აღინიშნა, რომელსაც დედაქალაქის მერი კახა კალაძე თავის მოადგილეებთან, ანდრია ბასილაიასთან და კახა გულედანთან ერთად დაესწრო.

„კრწანისის რაიონში გრიშაშვილობას აღინიშნა. ეს არის ტრადიცია და ძალიან მიხარია, რომ ბევრი ადამიანი იკრიბება. ძალიან სასიამოვნო საღამოა. ადგილობრივებს ვულოცავ ამ დღესასწაულს. მინდა, წარმატებები და რაც მთავარია, მშვიდობა ვუსურვო ყველას“, – განაცხადა კახა კალაძემ.

გრიშაშვილობის დღესასწაულს ასევე, კრწანისის რაიონის გამგებელი ბექა მიქაუტაძე, საქართველოს პარლამენტისა და თბილისის საკრე-

ბრიშაშვილობა ხარფუხში



ბულოს წევრები დაესწრნენ.

სადღესასწაულო ღონისძიების ფარგლებში, იოსებ გრიშაშვილის სახელობის სკვერში თეატრალიზებული სანახაობა გაიმართა. ხარფუხში

გაცოცხლდა ძველმეორე ბაზარი, მოეწყო თემატური კუთხეები და ფოტოზონები. სპეციალურად ამ დღისთვის გაცოცხლდა ძველი თბილისური სცენები.

„მილტონმა“ აპერიკა ახარალა

606სწარი შეფასებით, ქარიშხალ „მილტონის“ შედეგად მიყენებული ზარალის ოდენობა 50 მილიარდ დოლარს შეადგენს. ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ბრიფინგზე განაცხადა.

ბაიდენის თქმით, სტიქიის ზონაში მიმდინარეობს ადგილობრივი და განმედიანი სამუშაოები, რომელშიც ჩართულია არმია და ფლორიდის ეროვნული გვარდია.

ქარიშხალ „მილტონის“ შედეგად სამი მილიონი ადამიანი ელექტროენერჯის გარეშე იყო დარჩენილი, თუმცა ამ დროისთვის ერთი მილიონი ადამიანისთვის დენის მიწოდება უკვე აღდგენილია.

ქარიშხალი „მილტონი“ ფლორიდას 9 ოქტომბერს დაატყდა თავს. სტიქიას შტატი 17 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

უხსოვრი პალატის კარსი:
 აშშ დოლარი - 2.7263; ევრო - 2.9804;
 ბრიტანული გირანძახ სტერლინგი - 3.5600;
 100 რუბლი - 2.8367; თურქული ლირა - 0.0795;
 აზერბაიჯანული მანათი - 1.6033;
 1000 სომხური დრამი - 7.0378.

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულაძე
(599-36-00-35);
რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
(597-22-07-04),
შემოქმედებითი ჯგუფი:
ალექო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბეგიძე,
გია პლატონიშვილი,

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდან ქობულაძე
(577-77-27-17),
სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კვციელი,
მაია ივრამაშვილი.

ოპერატორი
შორენა გვილია.

დამკაბადონებელი
გიორგი მახარაშვილი.

გამეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
გიორგი ნადარეშიანი

მისამართი:
თბილისი, აკაკი
წერეთლის N116

წერილები გამოგზავნეთ
ელექტრონულ
მისამართზე:
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია
და ხელმძღვანელობს
თავისუფალი პრესის
პრინციპით. რედაქციის
აზრი, შესაძლოა, არ
ემთხვეოდეს ავტორთა
მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე
პასუხისმგებელია
ავტორი.
საავტორო უფლებები
დაცულია. რედაქცია
პასუხს არ აგებს
სოციალური ქსელიდან
და სხვა მედია-
საშუალებებიდან
გადმოხვეჭილ, ან
უცხოური პრესიდან
თარგმნილი მასალების,
ფაქტების, ინფორმაციის
სიზუსტეზე,
აგრეთვე სარეკლამო
განცხადებების
შინაარსსა და სტილზე.

იხილეთ სტამბა
„კოლორი“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორი
ჯგუფი
UAC(უბაკ)070.4(479.22)
C-323

რეკლამისთვის დაწვრილი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG000000538329790

**გაზეთის
მომღვაწე
ნომერი
გამოვა
ოთხშაბათს,
16 ოქტომბერს**